2014 წლის 27 აპრილის

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის ოქმი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიხიო კომისიის 2014 წლის 27 აპრილს გასვლითი #1 სხდომა გაიმართა კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

ლელა ბუალავა- სხდომის მდივანი

ელგუჯა ჩხაიძე- წევრი

რამაზ მორჩილაძე- წევრი

ვლადიმერ კიკნაძე- არ ესწრებოდა სხდომას

ლიანა მასიკაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის შემოყვანის შესახებ;

სხდომამ იმსჯელა ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის შემოყვანის შესახებ, რომლის ვალდებულება გამომდინარეობს საქართველოს კანონიდან „ადვოკატთა შესახებ“ და ასოციაციის წესდებიდან.

სხდომაზე მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა ასევე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა შერჩევითი კონკურსის ორგანიზება, სარევიზიო პერიოდის განსაზღვრა სარევიზიო აუდირების შემოწმების ფარგლებში და რეკომენდაციების მიღება, რის შემდგომ, კენჭისყრის შედეგად (გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად) მიღებულ შემდეგი

<u>დადგენილება:</u>

1. სარევიზიო კომისიის წევრთაგან შეიქმნას საორგანიზაციო ჯგუფი ორი ფიზიკური პირის მონაწილეობით (ლელა ბუალავა, ელგუჯა ჩხაიძე);
2. საორგანიზაციო ჯგუფს მიენიჭოს უფლებამოსილება საკონკურსო შერჩევის საფუძველზე მოიწვიონ აუდიტორული ფირმა, ამასთანავე უზრუნველყონ გამჭვირვალობა;
3. საორგანიზაციო ჯგუფის მოქმედების ვადა განისაზღვროს 10 (ათი) დღე, რის შემდგომ წარმოადგინონ შეთანხმებული წინადადება სარევიზიო კომისიის სხდომაზე დასამტკიცებლად.
4. აუდირებისთვის განისაზღვროს ზოგადი სარევიზიო მიზნები:
   - ასოციაციის პოტენციური საოპერაციო და ფინანსური რისკების იდენტიფიცირება;
   - ასოციაციის პოტენციური საოპერაციო და ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემებისა და მექანიზმების ადეკვატურობის ანალიზი და შეფასება;
   - ასოციაციის საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტაციის შემოწმება, მათი არსებობის, მიზნიობრიობის და არსებულ ბიუჯეტთან შესაბამისობის თვალსაზრისით;
   - ფინანსური და მმართველობითი ანგარიშის განხილვა და შემოწმება;
   - ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;
   - ორგანიზაციის აქტივების მიზნობრივი გამოყენების კონტროლი;
   - ანგარიშების პროცესების უნიფიცირება და სტანდარტიზება, შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
   - ბიუჯეტიდან ანგარიშსწორებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების რევიზია და შესაბამისი სარეკომენდაციო დასკვნის წარდგენა;
5. სარევიზიო (სააუდიტო) პერიოდმა უნდა მოიცვას 2013 წელი სრულად.
6. ეთხოვოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს წარმოადგინონ წინამდებარე დადგენილებასთან დაკავშირებული წინადადებები და შემოთავაზებები, ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;
7. ეთხოვოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და თავმჯდომარეს აღმოუჩინონ მაქსიმალური დახმარება სამუშაო ჯგუფის წევრებს;
8. ეთხოვოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ორგანიზება გაუწიოს სარევიზიო კომისიის შეხვედრას ასოციაციის ბუღალტერთან, რომელიც ჩაინიშნა 2014 წლის 12 მაისს 17:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე- ლია მასიკაშვილი

სხდომის მდივანი- ლელა ბუალავა

წევრი- ელგუჯა ჩხაიძე

წევრი რამაზ მორჩილაძე